

# მწეპმსი

1885-1886

თბილისში  
ბონაპარტისა

მწეპმსი დამატებით გამოდის თუკში სუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ წაცხვებში.

### გაზეთის ფასი:

ერთი წლისა გავზავნით დაგუგზავნელად	5 მან.
ნახევარი წლის	3 —
„მწეპმსი“ რუსული დამატებით	6 —
ნახევარი წლით	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით	2 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кавк. р. и. и, Въ редакцію „Мѣмесі“ (Пастырѣ).*

ყველა სტატუები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იმხებთან გამოგზავნილი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილინი. ავტორთაგან გამოგზავნილი სუტუები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწობებით დაიბეჭდონ.

სტატუბა, რომელიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს ბათის ნ: რდით უკან-ვე დაებრუნოს.

სტატუები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილინიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ვისაც ჯერეთ კიდე „მწეპმსი“-ს სელ-ოსაწერი ფულები არ შემოუტანია, მორჩილად ვსთხოვთ, დაუჩქარონ მისი გამოგზავნა.

თვლილის სახულიაგო სემინარიასთან ანდრია მოსიძეშლის სახალოგაზე დაარსებული ამოგის გეგვსა წლის დღესასწაულოგა.

### ОТВѢТА ПОДПИСА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗЪ“

Въ 1887 году газета «Кавказъ» будетъ выходить подъ прежнему редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

въ дост. въ Тифлисѣ.		по Имперіи.		По почтовому союзу.	
р.	к.	р.	к.	р.	к.
На годъ .	11—50	На годъ .	13—	На годъ .	18—40
> 1/2 года.	6—	> 1/2 года.	7—	> 1/2 года.	10—
> 3 мѣсяца	3—50	> 3 мѣсяца	4—	> 3 мѣсяца	6—
> 1 мѣсяца	1—50	> 1 мѣсяца	1—75	> 1 мѣсяца	2—

Подписка принимается исключительно въ конторѣ редакціи, Тифлисѣ, уголѣ Головинскаго проспекта и Бяратинской улицы, домъ Ротинава.

Для иногородныхъ адресовать: Тифлисѣ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

მეირას, 30 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიასთან ანდრია პირველ წოდებულის სახელობაზე დაარსებულმა ამოგამ იდღესასწაულა შექმსე წელიწადი თავის არსებობასა. ამ დღეს მწიროველი ბოძანდებოდა სემინარიის ეკლესიაში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მთავარ ეპისკოპოსი პავლე, ექსარხოსი საქართველოისა სამღვდელოების ზოგიერთი უმაღლესი პირებიერთ. ჩვეულებრივ დროს სემინარიის რექტორმა, მ. არქიპანდრიტმა პაისიმ წარმოასტკვა მშენებრი სიტყვა საღვთოო წერილის შემდეგ სიტყვებზე: მამანი სუ განაჩისსებთ შეილთა თვისთა, აჩჩედ აღზარდენით. იგინი შამითა ღვთისათა. წირვის და პარაკლისის გათავების შემდეგ, ყველანი, რომელნიც კი იყვნენ ეკლესიისაში, წაიღენ სემინარიის ერთ ზალაში, სადაც იყო სხლამა ამობის საზოგადო შეკრებილებისა. შეკრებილებაზე, რომელიც მოხდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პავლეს, საქართველოს ექსარხოსის თავს მჯდომარეობით, და

ესწონენ: ყოველად სამღვდელთა აღიქმანდრე, ეპის-  
კოპოზი ზორისა, სასწავლო მაზრის მზრუნველი პ.  
პ. იანოვსკი და სხვანი.

სხლომის გახსნის თანავე სემინარიის ინსპექტორმა  
ბ. პოტოცკიმ წაიკითხა ძმობის შემდეგი ანგარიში:

30 ნოემბერს, 1886 წელსა შესრულდა ექვსი  
წელიწადი, რაც ეს ძმობა არსებობს ობილისის სა-  
სულიერო სემინარიასთან; ძმობა დაარსდა 30 ნოემ-  
ბერს 1880 წელსა, სემინარიის ეკლესიის დღესას-  
წაულის დღეს ანდრია პირველ-წოდებულისა, მაღალ  
ყოველად უსამღვდლოესობის მოასკოვის მიტროპო-  
ლიტის იოანნიკესაგან, რომელიც იმ დროს იყო სა-  
ქართველოს ექსარხოსად. ძმობა იყო დაარსებული,  
რათა შემწეობა მიეცა ობილისის ღარიბ მოწაფეებისათვის.  
წასრულეს წლებში დიდი შემწეობა აღმოუ-  
ჩინა ძმობამ სემინარიის ღარიბ მოწაფეთ თავისი ნივ-  
თიერი შემწეობით, ურომლისათ არა ერთი შაგირდი  
იძულებული იქნებოდა სწავლისათვის თავი დაენებე-  
ბია. ამიტომ ძმობია კომიტეტი სთელის თავის მო-  
ვალეობად გამოუცხადოს უგულისთადესი მადლობა  
სემინარიის ღარიბ მოწაფეების სახელობით ძმობის  
ყველა იმ დამხმარე და მეშურნეთა პირთა, რომელ-  
თაც შემწეობა აღმოუჩინეს ობილისის სასულიერო  
სემინარიასთან დაარსებულ ძმობას. ამასთან კომიტე-  
ტი თავის საღმრთო მოვალეობად სთელის უგულის-  
თადესი მადლობა შესწიროს ამავე მოწაფეების სახე-  
ლობით ძმობის მფარველს, მის მაღალ ყოველად  
უსამღვდლოესობას პავლეს, საქართველოს ექსარ-  
ხოსს, იმ კურადღებისათვის, რომელსაც ის აქცევს  
ულარიბეს მოწაფეებს. მისი მაღალ ყოველად უსამღვდე-  
ლოესობა ყოველ წლივ კაი ძალ ფულებს სწირავს  
ძმობას. წარსულ წელში მისმა მაღალ ყოველად  
უსამღვდლოესობამ შესწირა ძმობას 100 მანეთი;  
ძმობის შემდეგი წლის ხვედრი ფული 100 მანეთი  
უკვე შემოტანილია მისი მაღალ ყოველად უსამღვდე-  
ლოესობისაგან. ბა და ამისა გარეგო თუ არა ძმობის  
თავმჯდომარისაგან მისმა მაღალ ყოველად უსამღვდე-  
ლოესობამ, რომ პირველი კლასისის მოწაფეს ძახი-  
შვილს არა ჰქონდა პალტო, კეთილ ინება კიდევ  
შეწირვა ძმობის სასარგებლოდ 10 მან., რათა ამ ფუ-  
ლებით ამ მოწაფისათვის პალტო შეეკერათ, რომ იგი  
ხელ-ახლავ არ გაცივებულიყო.

ძმობის კომიტეტი სთელის აგრეთვე თავის მო-  
ვალეობად უგულისთადესი მადლობა შესწიროს ულა-  
რიბესი მოწაფეების სახელობით, მათ ბრწყინვალეებს,

მთავარ-მართველს, თავად აღიქმანდრე მახვალს  
ძეს ლონდუკოვ-პორსაკოვს, როგორც იმა შეწირუ-  
ლებათათვის ძმობის სასარგებლოდ, რომელიც კუთაო  
ინება წარსულ წლებში, აგრეთვე იმა განკარგულე-  
ბისათვის, რომლის ძალით წასრულეს წელში სასული-  
ერთო კრედიტის საზოგადოებისაგან მიეცა ძმობას  
300 მანეთი.

ბარდა ამა შემოწირულებათა ძმობის კომიტე-  
ტი შემოვიდა წარსულ წელში შეწირულებანი შემ-  
დეგ პირთა და დაწესებულებათაგან: სასულიერო  
კრედიტის საზოგადოების სარგებლისაგან 1885 წ.  
მიღებულა 100 მანეთი, ბერძენთ ეკლესიების ბლა-  
ლოჩინის მღვდლის არისტარხე ტეოხარისაგან, ოტო-  
შენით 1 ოკტობრიდამ 1886 წ. № 219—117 მ.,  
ობილისის კრუჟოკის სტარშინების რჩევისაგან, ოტო-  
შენით 19 ფებერვლიდამ № 90,—45 მ. 95 კ.,  
„მწყემსი“-ს რედაქტორის, ბლალოჩინის მღვდლის  
ღავით ლამბაშიძისაგან, ოტოშენით 21 დეკემბრი-  
დამ 1885 წ., № 270—22 მ. 50 კ., იმისგანვე,  
ოტოშენით 10 იანვრიდამ 1886 წ. ნომერ 15—  
50 მან. 40 კ.; ბლალოჩინის მღვდლის მოსე ჯუ-  
ღელისაგან, ოტოშენით 8 იანვრიდამ 1886 წ.  
ნომერ 13—35 მან. 60 კ.; ბლალოჩინის მღვდლის  
ნ. ქუბანიევისაგან, ოტოშენით 2 იანვრიდამ 1886  
წ. ნომერ 3—17 მ. 10 კ.; შარისის მაზრის ეკლე-  
სიების ბლალოჩინის მღვდლის მესტრატო ალიაძისაგან,  
ოტოშენით 31 დეკემბრიდამ 1885 წ. ნომერ 1118  
—10 მ., მოწამეთის მონასტრის არქიმანდრიტის  
ბესარიონისაგან, ოტოშენით 30 დეკემბრიდამ 1886  
წ. ნომერ 73—10 მ.; მღვდლის მძინაროვისაგან 5  
მ.; ბლალოჩინის მღვდლის ქრამლოზ შეფხვაძისაგან,  
ოტოშენით 10 ფებერვლიდამ 1886 წ. ნომერ 33  
—28 მ. 45 კ.; სამურზაყანოს ეკლესიის ბლალო-  
ჩინის მღვდლის იოანე ჩხენკელისაგან, ოტოშენით  
7 ფებერვლიდამ 1886 წ. ნომერ 84—20 მ. 83 კ.;  
ბლალოჩინის მღვ. ლ. შიპაშვილისაგან, ოტოშენით  
28 იანვრიდამ 1886 წ. ნომერ 38—12 მ. 30 კ.;  
ბლალოჩინის მღვდ. ზაქარია ბძელიევისაგან, ოტო-  
შენით 20 იანვრიდამ 1886 წ. ნომერ 11—25 მ.;  
ბლალოჩინის მღვდლის იოანე მრეველოვისაგან,  
ოტოშენით 27 იანვრიდამ 1886 წ. ნომერ 45—  
6 მ.; მღვდლის ღავით შრელაშვილისაგან 12 მან.;  
ბლალოჩინი მღვდლის სირბილაძისაგან, ოტოშენით  
16 მაისიდგან 1886 წ. ნომერ 66—24 მან.; ბლალო-  
ჩინის მღვდლის ღავით ბარნაბოვისაგან, 30 ივნისიდგან



1886 წ. ნომერ 124—8 მ. 30 კ.; მეტეხას ეკლესიის მღვდლისაგან 5 მ.; პოლკოვნიკი ი. ა. ნიკოფროვისაგან 5 მ.; არხანგელის გუბერნიის გლეხი ი. ა. პიშჩინისაგან 5 მ.; თბილისის სინოდალური კანტორის პროკურორის მ. ტ. ანდრეევსაგან 5 მ.; დეკანოზის ნ. ა. ძალისტოვისაგან 5 მ.; დეკანოზის არღანიანისაგან 5 მ.; თომა ცაგარელისაგან 5 მ.; ვ. ი. ვიდლინოვისაგან 5 მ.; სოხუმის დეკანოზის ლავით მაჭავარიანისაგან 5 მ.; სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტი პაისისაგან 5 მ.; სემინარიის ინსპექტორის პავლე პოტოცკისაგან 5 მ.; მასწავლებელთაგან: ა. პ. ალბოვისაგან 5 მ.; ვ. ა. ბელიაევისაგან 5 მ.; ვ. ი. ლოტოცკისაგან 5 მ.; ი. ი. მეკანაროვისაგან 5 მ.; თ. დ. შორდანიასაგან 5 მ.; დ. ნ. ლათეშიძისაგან 5 მ.; ზ. ვ. ჩეტარკინისაგან 5 მ.; პ. სტარაღუმცევისაგან 5 მ.; თ. ი. ლოლქანიკისაგან 5 მ.; ინსპექტორის თანაშემწის ვ. ზ. ბარნოვისაგან 4 მ.; მარძიის მონასტრის წინამძღვრის ბერ-მონაზონის ძალისტრატისაგან, ოტნოშენით 11 სექტემბრიდამ 1886 წ. ნომერ 35—5 მ.; ბლალ. მღვდლის ნიკოლოზ ძალანდარიშვილისაგან, ოტნოშენით 16 სექტემბრიდამ 1886 წ. ნომერ 182—12 მ. 30 კ.; ეკლესიის კრუშკილამ სემინარიის ლარობ მოწაფეთა სასარგებლოდ ამოღებულ იქმნა ძმობის კომიტეტისაგან 35 მ. 23 კ.; მესამეაღმოსავლეთის მომგებიან ბილეთების კუპონებისაგან 7 მ. 14 1/2 კ.; ძავეასიის პრიკაზის ორი ბილეთისაგან 1500 მანეთისა შემოვიდა 85 მ. 73 კ.; აღმოსავლეთის მგორე სესხის ბილეთის სამი კუპონისაგან 7 მ. 12 კ. სემინარიის ერთი სარდაფის ქირა შემოვიდა 24 მ. და გარდა ამისა, რამოდენიმე მანეთი იქმნა დაბრუნებული სემინარიის მოწაფეებისაგან, რომელთაც წალეზული ჰქონდათ ფულები ძმობისაგან სესხად.

ამ სახით ძმობის შემოსავალი 1 დეკემბრიდამ 1885 წ. 16 ნოემბრამდე 1886 წ., ღლით ამა ანგარიშის შედგენამდე, იყო 1378 მ. 45 კ. დანარჩენი წინანდელი 1884 1/2 „ძმობის“ წლისა 27 ნოემბრამდე 1885 წ. იყო სახელმწიფო დაწესებულებათა ბილეთებით 1600 მანეთი, პირველ მოთხოვნამდე სახელმწიფო ბანკში ინახება საანგარიშო წიგნით ნომერ 6779—819 მ. და ნაღდი ფულები, რომელიც ინახება „ძმობის“ ხაზინდარისაგან, 58 მ. 36 კ. და სრულიად ამა ამყო „ძმობის“ საანგარიშო წელში იყო 2477 მ. 36 კ. ამას რომ მიუმატოთ ამა „ძმობის“ წარსული წლის შემოსავალი 1378 მ. 45 კ., მაშინ

სულ შესდგება 3855 მ. 81 კ., რომელიც „ძმობის“ ამ საანგარიშო წელში. ამ ფულებიდან 1900 მანეთი არის ბილეთებით სახელმწიფო სხვადასხვა დაწესებულებათა შინა.

აღნიშნული ფულები იხარჯებოდნენ ამ საანგარიშო წელში შემდეგი სახით: შეკრება ძმობისაგან ენიშნებოდათ სემინარიის უღარიბეს მოწაფეებს ან ძმობის კომიტეტისაგან, ანუ, როცა კომიტეტს ყველა წევრების თავის მოყრა მალე არ შეიძლებოდა, თვით ძმობის თავს-მჯდომარისაგან ყოველ თვეში ყველა სასწავლო თთვეების განმავლობაში, 3—8 მანეთამდის თთვეში, და ერთ დროებითი, ერთი მანეთიდან 10 მ. და ხან ამაზე უფრო უმეტესი, როცა საჭირო იყო ლარობ შაგირდებისათვის ტანისამოსი და ფეხ-საცმელის შეკერვა; ეძლეოდათ აგრეთვე ფულები ლარობებს სახლში წასასვლელად და ავადმყოფობის დროს. მრთ დროებითი შემწეობა ეძლეოდათ ხან-დის-ხან მოწაფეებს სე ხის მსგავსად, შეკრებულ ფულებზე ისე უბრუნდებოდა „ძმობის“, მაგრამ მოწაფეების სიღარიბისა გამო ესეთი შემთხვევა ძირიელ ცოტა იყო. ამ საანგარიშო წელში ყოველთვიური და ერთ დროებითი შემწეობა ეძლეოდათ მოწაფეებს ათი თთვის განმავლობაში: ნოემბერში, დეკემბერში 1885 წ., იანვარში; ფებერვალში, მარტში, აპრილში, მაისში, ენკენისთვეში, ოკტომბერში და ნოემბერში 1886 წ. 1885 წ. ნოემბრის თვის შემწეობა ეძლეოდათ დეკემბერში 1885 წ. და ამიტომ გასავალი ამა თვისა ეკუთვნის აქმო საანგარიშო წელს. ნოემბერში 1885 წ. მიცემია შესაწევნელად 30 მოწაფეს მთლად 105 მ.; იმავე წლის დეკემბერში 23 მოწაფეს მიცემია 76 მ., იანვარში 24 მოწაფეს—82 მ., ფებერვალში 35 მოწაფეს—125 მ., მარტში 25 მოწაფეს—93 მ. 50 კ., აპრილში 23 მოწაფეს—86 მ., მაისში 43 მოწაფეს—110 მ., 20 მოწაფეს სექტემბერში 89 მ., ოკტომბერში 44 მოწაფეს 194 მ. და ნოემბერში 43 მოწაფეს—191 მ. და სრულიად დახარჯულა 1150 მ. 50 კ. გარდა ამისა დაიხარჯა სამი აბლილაციის სასყიდლად, თითოში 100 მ., ღრეზული ფასზე მეტი, 1 მ. 85 კ. და 1 მ. 50 კ. მარკებისათვის, როცა ფულები შეკრებათ შესანახად სახელმწიფო ბანკში პირველ მოთხოვნამდე. მთელი ამ წლის გასავალი არის 1153 მ. 85 კ.

16 ნოემბერს 1886 წ., ამ ანგარიშის შედგენის დროს იყო 2700 მ. 96 კ., ამაში 1900 მ. არის საარგებლოანი ბილეთებით, რომელნიც ინახებიან სახელმწიფო ბანკში, სემინარიის ყუთში, 652 მ. ინა-

ნება პირველ მოთხოვნამდე საბელმწიფო ბანკში და 148 მ. 96 კ. ძმობის კანაში არის ნაღდი ფულები 800 მ. 96 კ., რომელი ფულებიც, თუ იმავე სახით და იმავე რაოდენობით მიღსცემთ მოწაფეებს შემწეობას, როგორც ეს ხდებოდა ორ უკანასკნელი თვის განმავლობაში, ძლიერ იკმარებს მომავალი წლის ოთხი თვის განმავლობაში. მაშასადამე, ოთხი თვის შემდეგ უარი უნდა უთხრათ შემწეობაზე იმ მოწაფეთ, რომელნიც ეხლა იღებენ შემწეობას ძმობისაგან. ანუ უნდა გავყიდათ სარგებლიანი ბილეთები. იმ მოწაფეებს შემწეობას მოუსპობთ, ისინი იძულებულ შეიქნებიან გამოვიდნენ სემინარიიდან და თავი მიანებონ სწავლა-განათლების მიღებას. სემინარიის უმეტეს მოწაფეებს არამც თუ უსაჭიროესი სასწავლო წიგნები არა აქვს, არამედ ბევრს მათგანს, ძმობის დაუხმარებლად, არ შეუძლია თვეში ორი მანეთი იხადოს სახლის ქირად: ითმენენ სიმშლის და სიცივის, რის გამოც შირად ავად-მყოფობენ თითო თვე და უკან რჩებიან ამხანაგებს სწავლაში. ამიტომ ძმობის კომიტეტი მიიქცევა ყველა იმ პირთადმი, რომელთაც გული შესტკივთ სასულიერო განათლებაზე უმოზრდილესი თხოვნით, რათა აღმოუჩინონ მათ შემწეობა ძმობას თავის შეძლებისა და გვარად.

ამ გვარივე თხოვნით მიიქცა ამას წინეთ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი მათ ყოვლად უსამღვდელოებათადმი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის და ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ბრიგორისადმი და საექსარხოსოს სამღვდელოებისადმი.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ გაამართა ხელოს-მოწერა ძმობის სასარგებლოდ და მოხმენილ იქმნა განცხადება ბ. ხელაძისა მის შესახებ, რომ იგი იმ ფულებს, რაც ერგება მას ანგარიშის დასაბეჭდავად, და იმას, რაც ერგება მას სემინარიისათვის საჭირო ბლანკების დასაბეჭდავად სწირავს ძმობის სასარგებლოდ, საწამ ყველა ესუბი ექნება მას საბეჭდავად. მთელმა შეკრებილებამ მაღლობა შესწირა უ. ხელაძის. მოსამსახურე პირებათ იქმნენ აღრჩეულნი შემდეგნი პირნი: ძმობის თავს-მჯდომარედ იქმნა ამორჩეულ რექტორი სემინარიისა მ. არქიმანდრიტი, პანისი, თავს-მჯდომარის ამხანაგებად—მ. არქიმანდრიტი მაკარი, ხაზინადრად სემინარიის ინსპექტორი ბ. პოტოცკი, კომიტეტის წევრებად—ი. ა. ნიკიფოროვი, ბ. შავარდლო და არქიმანდრიტი კესარი. შემდეგ გალობისა: „ღმერთო დაიცე იფეფ,“ მასმა მაღალ

ყოვლად უსამღვდელოესობამ მაღლობა შესწირა ყველა შემწირველთ ძმობის სასარგებლოდ და მასთან უთხრა რამდენიმე მამა შეილური სიტყვა სემინარიის მოწაფეებს.

როგორც ჩანს ამ ძმობის ანგარიშიდან, კი ძალი ფული შემოსულა სემინარიის ღარიბ შავირდთა სასარგებლოდ. იმედია, რომ სამღვდელოება, არა მიმხედველი თავის სიღარიბისა, არ მოაკლებს ძმობას თავის მხრით შემწეობას შემდეგშიაც. მაგრამ არ შეგვიძლია უკუარაღებოდ დავსტავოთ ერთი ვარემოება, რომელზედაც საჭიროა ყურადღების მოქცევა. მხლანდელ დროში ქველ მოქმედებას მიზნით მრავალი ძმობა და საზოგადოება არის დაწესებული. რაკა მუცელა მძვინვარებს, მაშინ ყოველი კაცი მუცლს ტკივილს უჩივის. ამისა არ იყოს, გაიგეს, რომ სა-მოწყალოდ ფულს აგროვებენ და ყოველი კაცი მზად არის ღარიბად გამოიჩინოს თავი და სამოწყალო ფული ითხოვოს. საზოგადოებაში რაღაცა უქმყოფალებას მოვქარით ჩვენ ყური. ამბობენ: ისეთ პირებს აძლევენ შემწეობას, რომელნიც კარგად შეძლებულნი არიანო. აქ, რასაკვირველია, სემინარიის მართველობა არ არის დამნაშავე, მაგრამ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ვიდრემდის შემწეობას მასცემდენ რომელიმე შავირდს, ნამდვილ დარწმუნდებოდენ მის სიღარიბეზე.

ყოველ შემთხვევაში სიღარიბის დამამტკიცებელი საბუთი არ არის დღე-მამის უკოლობა, ანუ გლეხი კაცის შეილობა. ჩვენ ვიცით ბევრი ობლები, რომელთაც დიდი სიმდიდრე აქვსთ დატოვებული მშობლებისაგან. აგრეთვე ვიცით ისეთი გლეხი კაცის შეილები სემინარიაში, რომელთა მამებს უფრო შეუძლიათ მღვდლებზე. ბავიგეთ და, რამდენად მართალია, კიდევ არ შეგვიტყია, რომ ვითომ ძმობისაგან მიცემულ ფულებს ზოგიერთი შავირდები თავიანთ მშობლებს უკზენიან შინ. კიდევ ვიმეორებთ, რომ ამ გარემოებას რიგიანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საგნის შესახებ ჩვენ კიდევ გამოვსტკივით ჩვენს აზრს შემდეგში.

სამეგრელო-სააფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის სახელმწიფო მთავრობის დადგენილი სახელმწიფო მემორანდუმი. \* )

თსსრკ-ს მ. დონ-ჟოზეფ-მაჩი-ზამხა. \*\*)

(ფრანგულიდან).

როდის მიიღეს კოლხეთი იმერეთის მთავრობის სახელმწიფო მემორანდუმი და პირდაპირ ვინ დაგმო იგი სახელმწიფო მემორანდუმის სახელით.

თავი I.

რადგან საზოგადოებრივი აზრით შეადგენენ რამდენიმე ცალ-ცალკე თემები, რომელთაც ყველას ერთგვარი სამართო წესები აქვს, სახელდობრ: აფხაზეთი, ჩერქეზები, ალანები, სვანები და სხვანი, ამისათვის საჭიროდ დაეინახე, სინამეფი ვითყოდე საკუთრად პოლხებზედ, კერძოდ დამესახელებინა მკითხველისათვის ეს ხალხნი, რომელნიც თითქმის ერთსა და იმავე წესებს შეჰდგენენ. ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, რომ აფხაზებს დიდებულმა მოციქულმა წ. ანდრიმ უქადაგა სარწმუნოება. იგი იყო საკვირებში, გავიდა საბერძნეთში და მარში, შემდეგ იყო სალიანებში (Sodians) და სუიეტრიანებში (Suictiens), \*\*\*)

\*) მ. დონ-ჟოზეფ-მაჩი-ზამხის მეთექვსმეტე ს. უგუნეში სამეგრელოში და ქართლში მოგზაურობის აღწერილობა მდიერ საჭიროა, რადგან ჩვენ მხარეს და ჩვენ სამეგრელოში უგუნეა. ან კიტუვით ჩვენ, რომ ავტორის წინადადებას უგუნეში ან სცდებოდეს. ამ ავტორის აღწერილობიდან მკითხველი დიდ განსხვავებას ხედავს ჩვენი ესტანდელის და ძველი დროის ჩვეულებებში. ამისათვის დონ-ჟოზეფ-მაჩი-ზამხის აღწერილობის დაბეჭდვას საინტერესოდ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველებისათვის და ამიტომ ჩვენი გაზეთის მომავალი წლის ნომერში ეს მოგზაურობა მთლად იქნება დაბეჭდილი. რედაქტორი.

დონ-ჟოზეფ-მაჩი-ზამხა იყო მწიგნობარი ტყაბანკის მამულიდან მისსიონურებად იუვენს სამეგრელოში გადმოვიდნენ. ეს ის მ. ზამხია, რომელიც დასწავლა კან მარტის სამეგრელოში და დიდი სამსახური გაუწია მას.

\*\*\*) გვინებ უნდა წაიკითხებოდეს სოვადიანებში (Soghadians), სოვადიანის მცხოვრებლობაში და სუიეტრიანებში (Susiens) ქალაქ სუსის (Suse) მცხოვრებლობაში, ასსარიანი. Langles.

და აქედან დაიწყო აფხაზეთში, რომელიც შეადგენს ქოლხიდის ნაწილს. ამაში უმეტესად გვარწმუნებს ერთი ძველი სამ ნეჭიანი ეკლესია, რომელიც ამ წმიდანის სახელზედ არის აშენებული ამ მხარის ერთ სოფელში და რომელსაც ეწოდება პიკსიოტის (ბიჭვინტის) ეკლესია. ეს ეკლესია არის მარტოპოლია მთელის ქოლხიდისა. მოველოვე კათალიკოზი ანუ პატრიარქი ერთხელ თავის სიცოცხლეში წავა-ხოლომე იქ ყველა თავის ეპისკოპოსებით და შეამზადებენ წმ. ზეთს, რომელსაც იგინი მირონს უწოდებენ. მკრთვე მიღის ხოლომე იქ მთავარი მრთელი თვისი ამალით. ეს ტადარი იწოდებოდა პირველად ბიჭვინტის ყოვლად წ. ლეთის-მშობლის ეკლესიად, მაგრამ რადგან ხალხს დიდად სწამდა წმ. ანდრია მოციქული და ჰგონია, რომ მან ააშენა იგი ეკლესია, ამისთვის იმ ეკლესიას მისი სახელი უწოდეს.

ამაობენ, რომ ამ ეკლესიის წინ მარტოპოლიოს სვეტი არის ამართული, რომლისაგან ნებითა ლეთისათა გამოსდინდა აღუღებული წყლის ნაკადი, რომელსაც იგი წ. მოციქული მოკლეს აქ. ნაკადს მომდინარება თურმე მხოლოდ ამ წმიდანის მოწოდებით და შეწყვიტეს. ამ სასწაულის შემდეგ ხალხს დიდად სწამს ეს წმიდანი, და როდესაც ამ სვეტის წინ გაივლიან, მუხლს იღრეკენ და ემთხვევიან მას. ეს, რასაც აქ მოგითხრობთ, ვიცი ერთ ჩვენ მამათაგანის მ. ძრისტოვლ-დე-მასტელისაგან, რომელიც წაჰყალიბა ერთს კათალიკოზს ბიჭვინტაში და უნახავს, თუ როგორ თაყვანსა ცემს (თუმცა ბარბაროსულიად) ხალხი სვეტს, წმიდას და ჯვარს, რომელიც გულზედ აქვს მას ჩამოკიდებული.

რაც შეეხება იბერიელთა და გიორგიანთა მოქცევას, ამის შესახებ ვკითხულობთ ბარონიუსში, 100 წელ., რომ იგინი მოიქცნენ ძრისტეს სარწმუნოებისადმი წ. პაპა კლიმენტის ქადაგებით, როდესაც იგი ტრაიანე იმპერატორისაგან იქმნა გააძეხული ხერსონესის კუნძულზედ. მე ვგონებ, პატივცემული მარტოპოლიტი მ. ტ. ტომას დე-ფეზუს პაპრი უფრო საფუძვლიანია. იგი ამბობს IV წიგნში, თ. IX, fol. 190, რომ იბერიელთა მოქცევა ერთი ტყვედ ჩაეარდნილი ქალის საქმე იყო, რომელსაც მარტოპოლიტი იბსენიებს დეკემბრის 15-ს დიდებულის სახელწოდებით: „მოციქული იბერიელთა ანუ ბიორგიელთა.“ იბერიელი უწოდებენ მას წმიდა ნინოდ. ნიკოფორე ლაპარაკობს ამ წმიდანზედ VIII წიგნში, თ. XXXIV. ზე-მოთ მოხსენებული ტომას დე-ფეზუ ამბობს, რომ იგი

საქართველო

ტყვეობაში მარად წმინდად ცხოვრობდა, მარხულადაა, ლოცვილობდა და მოღვაწეობდა, რაიც აკვირებდა ამ ბარბაროს. როდესაც ჰკითხავდნენ მას, თუ რისთვის მოაკვლინებს ამ გვარად ხორკს, იგი მიუგებდა: ეს ამოცანები ამგვარის ცხოვრებით და ვადიდებ ლმერთსა ჩემსა იესო ძრისტეს ჯვარცმულსს.

ამ უცხო სახელის ხსენებამ გააკვირვა ისინი და მათ პატივისცემა დაუწყეს ამ დედა-კაცს, რომელსაც წინად ყურადღებას არ აქცევდნენ. მრთხელ ადგილობრივი ჩვეულობისგამო, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ, როდესაც ვისმე ყმაწვილი ავად გაუხდება, დედა დაატარებს მას მებზობლებში, ეგება რამე უწყამლონო, ერთმა დედაკაცმა, რომელსაც შეილი ამოდ ჰყოლოდა რამდენსამე ხანს, მიიყვანა იგი ამ ტყვესთანაც, თუმცა იმედი კი არა ჰქონდა, რომ იგი შეიძლებდა მის მორჩენას, რადგან მას ჯერ არაფერი გაეკურნა. ტყვემ მიუგო მას: მე სრულებით არ ვიცი წამლობა, გარნა ლმერთი, რომელსაც თაყვანსა ეცემ, ისე ძლიერია, რომ შეუძლიან მიანიჭოს ავად მყოფებს მათი წინანდელი სიმრთელი. სთქვა ეს, აიყვანა ყმაწვილი ზელში, გადააფარა ზედ თავისი ძაძა, ილოცა, განკურნა მთლად და მისცა იგი დედასვე. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო ამსახაულებრივი კურნების ამბავი დედოფალმა, რომელიც დიდი ხანი იყო სასტიკი ავად-მყოფობით შეპყრობილი; აღსაესემ სარწმუნოებით აპოვნია იგი ტყვე და განიკურნა მისი შემწეობით. ამ სასაულებრივი კურნების გამო დედოფალმა მიიღო ქრისტიანობა. აკრეთვე ურჩევდა იგი თავის ქმარს, რომ მასაც მიეღო ქრისტიანობა. მან აღუთქვა ეს, გარნა არ ასრულებდა აღთქმას. მრთხელ მეფე სანადიროდ იყო, ისეთმა საშინელმა ქარიშხალმა მოახწრო მას და ისე ძრიელ ჩამოზნელდა, რომ მან ვეღარ შესძლო დენახა ისინიც კი, ვინც თან ახლდნენ. ამან შეაძრწუნა იგი, მოაგონდა აღთქმა, რომელიც მისცა თვის ცოლს, რომ ქრისტიანობას მივიღებო და კი არ შეასრულა, და აღუთქვა მაშინ ღმერთს: დაუყონებლივ ავასრულებ ჩემ აღთქმას, თუ დამისხნი ამ გნსაცდელიდგანაო. იმწამსვე განიფანტა სიზნელი და განიწმინდა ჰაერი. მეფე დაბრუნდა შინ, უამბო თავის ცოლს, რაც შეემთხვა მას, და მოაწოდებინა ტყვე, რომელმაც, როდესაც გაიგონა ყოველივე და გაიგო მუჟის სურვილი, ურჩია მას მოედოლებინა თვისი კერპები, ნათელილო, ეცა თაყვანი ჭეშმარიტის ღვთისათვის, იესო ძრისტესთვის ჯვარცმულისა, და აეგო მისთვის ტაძარი. მეფემ აასრულა ყოველივე: უარპყო

კერპებს, ურჩია თავის ქვეშევრდომებს სვეტი მოქცეულილოცვის და დაწყო აღმშენება რამდენიმე სვეტიანო მშენებელი დათვია. ბარნა როდესაც აღმართეს ორი სვეტი და ჰსურდათ აღმართათ მესამე, ეგრას გზით ვერ შესძლეს მისი აღმართვა. მეგლანი, ვინც მუშაობდა და ვინც იქ იყო, გაკვირვებულნი და გაწბილებულნი წავიდნენ. მხოლოდ ტყვე დარჩა ღამე ეკლესიაში და მისი ლოცვის გამო ღვთის ძალით სვეტი თვითონ აღმართა და დაიდგა იქ, სადაც იყო მისი ადგილი. როდესაც დილით დაბრუნდნენ მუშები, ნახეს სვეტი თავის ადგილას და ძლიერ გაკვირდნენ. ამან უმეტესად ფანატრიკა ხალხი ძრისტეს სარწმუნოებაში. მეფემ, რომელსაც ეწოდებოდა ბაკური, გაგზავნა დესპანები ძონსტანტინე იმპერატორთან და აცნობა მას თვისი მოქცევა. ამ ამბავზედ ეკლესიაში მოვიდა სიხარულით და გაუგზავნა მღვდლები და ეკლესიის მმართველნი. რომ განესწავლათ ხალხი სარწმუნოებაში; ხოლო როდესაც, რამდენიმე ხნის უკან, თვით მეფე მივიდა ძონსტანტინოპოლს, იმპერატორმა დიდის პატივით მიიღო იგი, მიანიჭა მას პირველი ხარისხის წოდება—პალესტინის მიჯნათ მთავრობა და სარდლობა თვისი ჯარების ორი კორპუსისა, რომელთ უწოდებდნენ პალესტინის სკუტარტ ჯარებს. ბარნა ბაკური დაღუბა იმპერიის მთავართ რუსტიკის და იოანეს მანქანებით, რომელთაც შურდათ მისი დიდება. ლმერთმა არ დაუტყვე ეს დანაშაული დაუსჯელად და მისი ნებით იმპერიის ჯარი, რომელიც შესდგებოდა ორმოც-და-ათი ათასი კაციდან, დამარცხდა ოცდა ათი ათას სპარსთაგან, ხოლო რუსტიკს და იოანეს დასჭრეს თავები.

პარდიანლო ბარონუსი 525 წელში ამბობს: ძოლხთ მიიღეს ქრისტიანობა ჰორმიზდას და იმპერატორი იუსტინეს დროს, რომელიც ძრიელ უალერსებდა ხსენებულ ბაკურ მეფეს, როდესაც იგი ძონსტანტინოპოლში იყო, ნათელილო, უწოდა მას ძელ, სახელდგა იმპერატორად აზიისა და უბოძა გვირგვინი და საიმპერატორო თეთრი ტანისამოსი.

გ. ბახნავი.

(გაგმქელება იქნება).



# ქროს გული.

(მოთხრობა რუსულიდან).

(გაგრძელება. \*)

მღვდელ-მთავარმა ნახა თუ არა ჩვენი ლაზიბი სოფელი, დანერგა ურთი-ერთ შორის. მშვიდობიანობა და თანხმობა. თითქო მისის ლოცვა-კურთხევით უფალმა მოგვივლინა იმ წელიწადს მშვენიერი მოსავალი ყველაფრისა. მე თან-და-თან უმატებელი ოჯახობას. სამი წლის სამსახურის შემდეგ მყავდა ექვსი ძროხა და ათამდის ცხვარი და ცხენი. მერ ვიტყვი, ცხოვრება ადვილი იყოს, არა ჩემო მეგობარო, მე თვითონ ვზიდავდი წყალს, მე ვასმევდი საქონელს წყალს, მევე უნდა წავსულიყავ ტყეში, მომეჭრა შენა და შინ მომეტანა. შემდეგ მინდორში მივდიოდი და ჩემის ხელით ვმუშაობდი. შამისობა მაინც არ შეიძლებოდა. ჩემი ცოლი ბავშვებს უვლიდა, რომელსაც უფალი ყოველ წელს მაძლევდა და მე კი ოჯახში ვმუშაობდი და ამ ნაირათ ორთავე ხელი-ხელს მიცემული ვმრომობდით. პირველათ კიდევც გერცხვენოდა მუშაობა და თანაც ესწუხდით. მთქრობდი: რათ გვასწავლიდნენ ტყუილათ ლათინურს და ბერძნულს მეთქი, მაგრამ ახლა ისე მივეჩვიე შრომას, რომ უმუშევრათ კიდევაც მომწყინდებოდა ხოლმე.

ძნელი იყო ცხოვრების დაწყება, მაგრამ კიდევ უფრო საძნელო იყო შეილების აღზრდა-განვითარება. მაგალითად დავიწყებდით თქვენ სწავლებას: ან, ბანა და უცებ ეხედავ, რომ ვილაც მოვიდა და სახლის მოკურთხებას მთხოვს. მივდივარ, ვასრულებ მოთხოვნილებას, მოვდივარ შინ, კიდევ დღამდღა. ახლა საქონელია მოსავლელი; რასაკვირველია, მივდივარ მის მოსავლელათ. ზაფხულში დღე დიდია, მაგრამ სამუშევარიც ძლიერ ბევრია; ისე ბევრია, რომ მინდვრიდან შინაც ვეღარ მოდიხარ. ზაფხულზედ ვერც თქვენ სწავლობდით, გინდოდათ სეირნობა და თამაში, მაგრამ მე მაინც მოგამხადდეთ სასწავლებლისათვის. არც თქვენი შენახვა იყო ადვილი. მართი და ორი რომ ყოფილიყავით სასწავლებელში, კიდევ არაფერი, მაგრამ როდესაც ხუთივე ერთად სწავლობდით,

სამი ერთად და ორი ცალკე სემინარიაში, მაშინ იყო ჩემი მწუხარება. თქვენ ნალდგომევეს, მაგალითად, გვირდებოდით რვა თუმანი და მე კი ძლიერ-ძლიერობით ვწოვობდი თხოვთმეცს მანეთს. შინდა თუ არა, უნდა მიხვიდე მდიდარ გლეხთან და თაყვანის ცემით სთხოვო, ეგებ ორიოდე გროში გათხოვოს აღკომამდის. მაგაგზავნიდით ხოლმე თქვენ და ჩვენც მარტო ძროხის რძის მეტი აღარაფერი გვრჩებოდა; ასე რომ კარებიც რომ არ დაგვეხურა, ქურდი მაინც ევრას იპოვნიდა ჩემს სახლში წასაღებს, ისე ვიყავით ყველაფრისაგან „გაწყვენილი“. ხარჯის გარდა მშობლების გული სწუხდებოდა. მაგალ. მაგაგზავნიდით თუ არა, იმ წამა მწარე ფიქრები შეგვიპყრობდა: დღე და ღამე სულ იმის ფიქრში ვიყავით: სწავლობთ თუ არა, ტან-მრთელათ იმყოფებით თუ არა. მშვიდობიანი სცხოვრება გაქვსთ ერთმანეთს შორის, თუ ხშირად კინწლობთ, ანდა და კიდევ აღდგომისათვის დათხოვის დროს თქვენი ცხენებით წაყვანა არ შეიძლება, ქვეითად გაგიშობდით და ჯავრი მაწუხებდა. რადგან მდინარეში ცუდი ნაფით უნდა გასულიყავოდა, სანამ მდინარეში გასულს შეგხედავდით სულ გული გეძიგებოდა. როგორც გახვიდოდით მდინარეს გაღმა, თქვენს სამშობლოს თავს დაუკრავდით და სიყვარულით გამოეთხოვებოდით ხოლმე—და მარტო თქვენი თეთრი პარკები პრკყვინავდა ხოლმე. მე და დედა თქვენი თვალ-ცრემლიანი უკანვე დავბრუნდებოდით და ესწუხდით. მაგრამ რამდენ სიამოვნებას და სიხარულს გრძნობდა ჩვენი გული, როდესაც თქვენ კარგათ სწავლობდით და კლასიდან კლასებში პირველ შეგირდებთ გადადიოდით.

ამ სიხარულის გრძნობა მხოლოდ იმ მშობლებს შეუძლიათ, ვისაც შეილები სასწავლებელში ჰყავსთ.

თქვენ გარდა ჩვენი ვალი იყო მოგვემხადებია და მიგვეცა სასწავლებელში სამი თქვენი დებიც. ჩვენს დროს საქალბო სასწავლებლების ხსენებაც არ იყო; არც საქალბო გიმნაზია. არც ეპარქიალური სასწავლებელი და არც რაიმე სხვანი. იყო მხოლოდ საზნაურო ისტიტუტები, სადაც მხოლოდ აზნაურის შვილებს ლებულობდნენ, ჩვენ კი ჩვენი ქალიშვილებისთვის უნდა შინვე გვესწავლებია. მაშინ ქალებს ბევრი მაინც არაფერი მოეთხოვებოდა: საქირო, იყო რომ კარგათ და საფუძელიანათ სცოდნებოდა მეოჯახობა, ვიდრე მაღალ საგნებზედ სჯა და მუსიკა. ჩემი მოხუცებული აზრითაც ასე სჯობია. თუმც ვისმესთვის საქიროა სასწავლი ქალი—საქიროა მღვდლის-

\*) იხ. „მწუქსა“ № 29.



თქმის გ. ი. ანდრონიკოვიძის მიერ დადგენილი მეთო-  
 დით დაგეგმულია. როგორც მეცხრე, ისე მეათე წლებს  
 ბი შინ უნდა აღვეყვანო და ამას გარდა კიდევ  
 კაპიტალი უნდა გვემატა და მხითველსათვის უფრო  
 შევუძლებდით. ჩვენ სამღვდელთაგანს გეყვედით  
 სიძულეს, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენთვის პატროსანი და  
 არა უპატროსანოა. თუმცა სადმეა საჭირო, სწორეთ ჩვენ  
 მდგომარეობაში საძუნწე არ არის სისულელე. შუა-  
 ბესია, შენ მოიკლო რამე და შეიღებო კი მისცე  
 აღსაზრდელათ! აი ამ ნაირათ, ჩემო საყვარელო მე-  
 გობარო, მე და დედა შენმა აღგზნებდეთ და, მად-  
 ლობა ღმერთს, რომ გასწავლეთ და ადგილიც გი-  
 შოვნეთ; ეხლა ჩვენ მოხუცებულებს ბევრიც გეყნა-  
 ზებინ! არ იფიქრო შეილო, რომ მეც შენს დროს  
 ეყოფილიყო კმაყოფილი ჩემის ბედისა. არა შეილო,  
 მაშინვე სახალგაზრდოებზე მარჯობდა და ვწვალთბი  
 ჩემთვის სახალგაზრდოებზე მივდივარ ქალაქში. მი-  
 დევნა კლასიკური და ეხედავ, რომ მოდის ჩემკენ  
 ეილაც დიდი კაცი და დამიწყო ცქერა, შემდეგ კიდევაც  
 დამიხაზა სახელი და მარჯონდი, ეხედავ და ჩემ თვა-  
 ლებს არ უჯერო. ეს კაცი იყო ჩემი ამხანაგი  
 სემინარიაში. მამოკლეს ერთი-ერთმანეთს ჩვენი  
 ამბავი. ამ ამხანაგმა მიასაუბრა.

— მსახურებე, ძმაო, ლუბერნიის მეთოდით  
 ში, სადაც სოფლისთვის ადგილი მიტყვია. ჩვენში  
 უმჯობესია მსახური, ეილაც სოფელში „უფალო  
 შეგვიწყალოს“ გალობა. მოდი ოთხ საათზედ ჩემთან  
 ოჯახში სადილათ და მაშინ შეიტყობ, თუ როგორ  
 ესტობერებ.

მივდივარ დანიშნულ დროზედ, შემხედება კა-  
 რებში ლაქია და არ მიშეგზს შინ, თუ ბატონს არ  
 ვაცნობდეთ. თქვენი ენობაზე, როგორც იქმნა, შევედი  
 შინ, ჩემმა ამხანაგმა თავისი ცოლი შეიღო, გამაცნო,  
 რომელსაც გარემო მოსამსახურე ქალები ეხვიენ  
 ისეთ წმინდათ და ძვირფასად ჩაცმულნი, რომ ჩემს  
 ცოლსაც არ ეცნო უცნობისი ტანისამოსი. სტოლებ-  
 ზედა ყოველს კუთხივ ძვირფასა ნივთები ეწყო. მისა-  
 დიდე ჩემს მეგობართან იმ დღეს, გამოვეთხოვე და  
 წამოველ ჩემს ქონსში. ბავისებები ხშირათ ამ მე-  
 გობაროს და მწარეთ დაველოდებოდი ხოლომე ჩემს  
 ხელს შევადგინო ამის შემდეგ ათი წელიწადი. მე  
 ხელისადაც მომიღო იმ ვუბერნიის ქალაქში ჩასვლა  
 და წარმოვიღო მთელი ვაკეობა; შემხედება ეს ჩემი  
 მეგობარი მდგომარეობა და კარგი ადგილის კაცო ჩაძინ-

ძილი, ჩევათლებული და სრულიად გაცალაობული.  
 მე იმას ვერასოდეს ვუ ვაცნობდა, მაგრამ თათან  
 მიცნო და მკითხავ: როგორ. რა ამბავია, სიღვან და  
 სხვანი, აგრეთვე მეც ვკითხე.

— ღმერთო, ძმაო, სამსახურიდან. თავის  
 დროზე ვერ შევაროვე ფულთა „შვიდლასთვის“ და  
 ახლა გთხოვ, ძმაო, ერთი მანეთი მომცე, რვა შეიღო  
 და ცოლი მეხოცება შიმშილით, სახლის ქირა მისა-  
 ცემა მქვს და ჯიბეში კი გროშიც არ არის. ამოვი-  
 ლე ჯიბიდან ქასა და მივეცა ჩემა ამხანაგს, უწინ-  
 დელს დიდ-კაცს ერთი მანეთი და შევხედე, რომ თვა-  
 ლებადან ცრემლები გადმოცვივდა. როდესაც ამის  
 შემდეგ შინ დავბრუნდა და ჩემი მდგომარეობას თვა-  
 ლი გადავახლო, ისე მშენიერათ მეჩვენა, რომ სრუ-  
 ლიად ბედნიერათ ვსთვლიდა ჩემს თავს. ან კიდევ,  
 როდესაც რამოდენიმე კაცი—ქოლღები შევკრახე-  
 ბით ერთად დღესასწაულზედ, გადავკრამთ სადღევარე-  
 ლობებს, წამოვსწევით მინდორზედ და დავიწყებთ  
 მუსიკას. არქილებზედ, რეჟორებზედ, ინსპექტორებ-  
 ზედ და სხვანზე, სრულიად ბედნიერად ვსთვლიათ ჩვენს  
 თავს, რადგან ჩვენვე წრეში ვართ და თავისუფლათ  
 ესტობერებთ. აი მაგ. დღეს დრო სულ სხვა ნაირა-  
 მღვდლები თუმცა მიღიან ერთმანეთთან, მაგრამ სრუ-  
 ლიად სხვა საგნებზედ აქვთ მუსიკა და მსჯელობა;  
 არ არის მათ შორის ის გულის სიწმინდე და უმან-  
 კობა, რომელიც მეუობდა უწინდელ დროში. მამ  
 რისთვის მეზინდება თვალთ დასანახავათ კარტის თა-  
 მაში, რომელშიაც ჩვენი მოძმეები—მღვდლები, ე-  
 კლესიაში და მღვთის მსახურებაში ნაშრონ რჩიოდენ  
 გროშს აგებენ!-

თეფ. სუსკანჯე.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

წერილი მეფე-სალომონისა ე. ი. ვ., 4-ბავის-  
 ტოს 1801 წ.

უფლისა იესოს ღვთად აღმსარებელთა მეუთავან  
 სადღესასწაულსა ამას უმადესსა ტანტსა შედა აღსვლას-  
 სა უდიდესუჯსობისა თქვენისასა უმადესსათა თავანას-  
 ცემითა მოგილოცავთ, ყოვლად უმარჯესსა ხელმწი-  
 ფელს, რომელსათვისაცა წინაშე სამბეჭატაროსა ტან-  
 ტისა თქვენისა დიდითა კრძალულებითა ვეოფ უმადესსა-  
 სა განცხადებასა თხოვნასა ჩემისასა; ვინათგან უკუდ-  
 ვ-



ტვისა ხელმწიფებას თქვენისაგან განკლ კარი სამარ-  
 თლისა და მოწყობებისა ყოველთა მომჭირნეთა და მკედ-  
 რებელთა და ისიც ისე უმღელესმან კარმან უდიდებულე-  
 სობისა თქვენისაგან, რომ სახლი მეფისა საქართველსა  
 სახლი არს ჩემი, — რომლისადა დაფარვით განცემასა მე-  
 ფისა გიორგისაგან და დამხობისა სამეფოსა სახლისასა  
 და განმწარბეულსა მწუნსარებებსა მათსა შეკრატს უბედურე-  
 ბად ჩემდა. შეიწყალეთ, უკვლად-უმოწყალესო ხელმწი-  
 ფეო, სახლი მეფისა ირაკლისა, ჭამილია და ძენი მისნი,  
 უბედურობისა თვისისათვის მტირბინი და კვლად შეიწ-  
 უსლეთ უკვლად უმოწყალესო ხელმწიფეო, კედრება  
 ჩემი ცრემლთათვის დათხულებთა უმღელესისა ბუბი-  
 ისა ჩემისა დედოფლისა და მწუნსარებისათვის მემე-  
 ვიდრეთა საქართველსათა. ვინაიდან საუღარი იმპე-  
 რატორებისა თქვენისა დაფუძნებულ არს სამართალ-  
 სა ზედა ღვთისა ძლიერისასა, მოჭსუდეთ მოწყობებითა  
 უსამართლობისა მეფისა გიორგისაგან მეძვედრეთა მმათ-  
 თვისთასა. სახატრელები და სახსრავარდნი შაშაძან ჩემნი  
 მეფემან ირაკლი, შემდგომად მეფისა გიორგისა, მისცა  
 ანდრეძით მეფობა იულონს, შირშილსა ძესა თვისსა და  
 უკვლად საქართველსა დაფიცა მეძვედრებობათა ზედა  
 თვისთასა და თვით შეფუძნებდა გიორგი მისცა წიქილი  
 მეფობისა იულონს; გარნა შურითა ანუ შეუძლებლობი-  
 თა დაიპყრა ანდრეძი მამასა თვისასა და შეურაცხ-ჭურა  
 მეფობისათვის დათხულები სისხლი მამა-შაშაძისა თვისთა მე-  
 ფემან გიორგი და იხება დაფარვით მმათაგან, მეთა და  
 უკვლად ერთგან გაცემა მეფისა. ამისთვისა მუხლ-დადუბით  
 უძღაბლესად და კრძალულებით კვედრები უკვლად უმოწყ-  
 ლესობას თქვენსა, დიდო იმპერატორო, რათა არს  
 შეიწყინას უწინაბრძანებულსა ხელმწიფებამან თქვენმან  
 უმაკლბით ესე უწყალეობა მმათა თვისთა და მით შა-  
 ტივი სცეო მოწყობით შემდგომლობისა ჩემსა, რ-  
 თა მიიღოს მეფობა იულონ, მეძვედრებმან საქართველსა-  
 სამან, რომლითა მეფობისა თანა ჩაქართველსა ვდღე-  
 სასწაულადდეთ ჩვენსა სახელსა დიდსა იმპერატორებისა  
 თქვენისასა უგუნისამდე.

უდიდებულესობისა თქვენისა, უმოწყა-  
 ლესისა ხელმწიფისა ჩემისა, უმღაბლესო  
 მონა, მეფე სრულიად იმერეთსა და სხვათა

სოლომონ

წერილი ბიორგი ლადიანისა გენერალ მორრინგისა-  
 მი 13 ივნისიდან 1802 წელსა.

ჩემს მოყვარეს, თენკალ-ლეიტენანტს მეფის-მეს  
 ღვთის თქვენის ბრძანებით კაცი გამოგზავნა ჩემთან;  
 მამან წიგნი მოკლე და ეს გამოგზავნებისა, რომ მისს  
 იმპერატორების დიდებულებს შერთვის აღეკსანდრე ნე-  
 სვის კავალერი უბრძანებო.

მე ესლა ჩემს სამთავრობოლად განსწავრო და ვით-  
 ხარ თქვენის აღმატებულებისაგან რომ იმის იმპერატო-  
 რების დიდებულებისაგან, მოწყობით აღეკსანდრე ნე-  
 სვის კავალერი გვებოძოს, რომელიც ჩემს საქმისა უფ-  
 რა სიმტკიცე იქნება და ჩემ-მიერ უდიდეს მოწყობებად  
 მისაღებელი იქნება; და ვითხარ ეს მოწყობება ჩემსად  
 არ დაგვიანოთ, რომლისათვისადა მე ჩემს თავით და  
 ჩემის მამულით ნადაც იმის დიდებულების მხარგრებო-  
 სს და ერთგულებისათვის შეწირული ვიქმნები, და მე  
 მამოყოფოთ თქვენის ძალა-მსვლელობის უსაგუთრესს  
 მეგობრად და პატრივის მცემლად.

ახას ბუჭედი გრიგორ დადიანისა.

მეფის სოლომონისა გენერალ ლაზარევისადმი, 25  
 აგვისტოდამ 1802 წელსა.

15 აგვისტოს დაწყებულ წიგნი ძალად მსვლელობი-  
 სს თქვენისა 25 რაბრში მადლე ხელითა თათარს და-  
 სთიბისათა, რომლითადა ითხროთ ჩვენ მიერ ცხობად მა-  
 წეზისა ლაშქართა შეყრისასა.

მე აღესცა სჯულიერისა მეძვედრებობისა ჩვენისა  
 მივიღე ტახტი მეფობისა წინა შართა მამა-შაშაძისა ჩემთა,  
 მისთანავე მივიღე ჩებაცა თვით მთავრობელი შეურად და  
 განტრეკებად ლაშქართა სამეფოსისა ჩვენისათა, და უკეთუ  
 უმარტობელესითა მეგობრებითა და მამობრძობითა სიყუ-  
 რულითა მკითხავ საიდუმლოსა გულისა ჩემისა, ვითარცა  
 სრულსა მეგობრობისა განვიცხადებ წემდარბრებით: არს  
 მთავარი მეტრელთა და ლეჩხუმისა დადიანი გრიგორ,  
 რომელიცა გვართავან ვითლიშობილთა და მდებარეთა ჩი-  
 ქუნთაგან სამეფოთა ამათ ჩვენთა რადი მწინსუბითა ში-  
 ხს მთავრობად დაიღვინა და უმამან სამეძვედრებმან ტახ-  
 ტისა ჩვენისამან მრავალ-გზის იხება წინააღდგომა ჩვენს;  
 ჩვენ სჯულიერითა მოყვარებითა და ქრისტიანებითა კრძ-  
 მოყვარებითა მრავალ-გზის მაუტრეკეთ და რაკდენ გზის-  
 ცა თვითთა საშინელითა დაგვარწმუნა მონებად მეფობისა  
 ჩვენისა, კვლად დახსნა თვიცა და დაუდგომლობითა  
 თვისითა ეძიება ღონესა დაცვად წინააღმდეგობობისა.  
 ამისათვის უბრძანეთ ჩვენ შეგრიო ლაშქართა და მოკვ-  
 დით ლეჩხუმს ცხებთა და სამაგრეთა მისთა ზედა და  
 რდესთა მხნებითა არხითა უდიდებულესობისა მისისათა  
 გამოკავსტუმრეთ უფალი მოლაგონივი და სოკუტნიტნივი  
 აღეკსანდრე სოკოლავი, რომელიცა გარემოდგომასა მის  
 ცხებთასა ამყოფებოდა ჩვენთანა სამსა დღეს შინა, —  
 მხნედ მოსწრაფებითა ლაშქართათა ავიღეთ შვიდნი ცი-  
 ხენი და სამაგრენი ლეჩხუმისანი; ცხებთა შინა შეგუგუნეთ  
 ღონისობენი ჩვენნი და დაჯიყართ სოფლები მათი; ჩვენ  
 ლაშქართა ჩვენითა შემოკვდიით საშუალ ლეჩხუმისა შინის-  
 შირ, სადაცა თვით ამყოფება ვერსსა ნახუვარსა, რომე-  
 ლიცა კედრებით ითხროს ჩვენსა შეწყობებასა და თვით

მონებთან ერთად, რომელთაგანაც გამოდის  
 გვერდს შეწინააღმდეგებს ვედრობის მისის, ვანსა აჭენუელ  
 ბეგლას ხვეწ დაუდგომლობის მისი. და ესე კმა-იყუბ  
 უწყებად მიზეზსა კითხვისა თქვენისა. რომელსა დაგმ-  
 ტვირებსთ პოლკოვნიკი და სოკოტნიკი თქვენდრე სო-  
 კოლთკი, — კეთილი მეგობარი ჩემი, — თუ სადა და რა-  
 მელსა სამზღვარსა მტკიედებდენ დაშქარნი ჩვენნი; და  
 სხვა იგი აზრი წერილისა თქვენისა, რათამცა დაშქარი  
 ჩვენი შეკრებოდეს შეწყენად წინააღმდეგობთა რუსეთისა  
 მხედრობისათა, ამან უდრძესა განკვირვებისა მისცა გო-  
 ნება ჩემი. ესოდენ — უამ მახლობლად ჩემდა იმყოფები  
 მთავარი მხედრობისა და რდეს სცნა მადლა მსგელლობა-  
 მან თქვენმან ჩვენ-მაიერ საქმე ესე ვითარა? მე დასასრუ-  
 ლამდე სიტუაციისა ჩემისა განკვირვება, რათამცა სა-  
 მანთაღმან და განხმან ხელმწიფებობის ვერ ვპოვოს  
 ჩემ შორის ბრალი ჭეშმარიტი და უკეთუ იტყვიან ვინმე  
 მიზეზთა არა ჭეშმარიტი. რათამცა უმადესსა  
 განსჯასა უდიდებულესობისა მათისა; ვანსა მე ვმა ვიქ-  
 მნები ჩვენ-მაიერ შეუერთა დაქარათათა, პირველად ამის-  
 თვის, ვინადგან ნებისამებრ ჩვენისა წარემართნა ძლიერ  
 წინააღმდეგობათა ჩვენთა და მეროდ ვინადგან ესოდენ  
 უამ დაიწყება ჩვენი განსახლეთ აწ წერილათა მადლა-  
 მსგელობისა თქვენისათა, რომლით დაუშობი ნადავ.

მისივე გენერალ ანორრინგთან, 25-ს აგვისტოდან  
 1802 წელსა.

მაქნდა პეტერბურგის მიღებად წერილისა თქვენისა  
 ხელითა თავადის დანსმინისათ, რომელთა ცხად ქუთუ-  
 და სიყვარულსა თქვენ-მაიერ ჩვენდა მომართ, დაუფიქრებ-  
 იულსა კლდესა ზედა, ქართავის კვებულებათა შეუწყველ-  
 სსა. ვითარცა შვეიცარის ტვირცისა და სრულსა მამა-კაცისა,  
 რომლითა ალყანა ხე იგი დანერგული თან-წარსადისიელსა  
 წყალთსა და იურტრელნი მისნი არა დასცვაენ, რომელ  
 მან მოკვრეს ჩვენ ნაყოფი თვისი უამის თვისსა. ვანსა  
 წერილმან უფლისსა დერჩხალისა ივან პეტროვიჩისამან  
 მიმცა ჩვენ განკვირვებად, რომელიცა ითხოვს ჩვენ-მაიერ  
 უწყებად მიზეზსა დაშქართა შეუქმისასა. აქვს მეუბნასა  
 თავის უფალსა ნება თვისი, — ვითარ და რდეს და რაბამ  
 ბრძანებისა თვისთავე სამეფოთა შ.ნა და უკეთუ საბჭ-  
 ველ რამე იყო შეურა დაშქართა ჩვენთა, თვით თავლა-  
 თა ივისითა სედიდა უფალი პოლკოვნიკი ალექსანდრ  
 სოკოლთკი, თუ სადა და რომელსა სამზღვარსა შინა  
 მოქმედებდენ დაშქარნი ჩვენნი პირისპირ წინააღმდეგობ-  
 თა ჩვენთა. და თქვიცა, პირსა ჩინებულსა, მადლა-  
 მსგელსა უფალსა, რად ჩწმუნებთ, რათამცა არ უწ-  
 ვოდე შეუქმან მადლა ჩემი ახუ საზომი მათობისა ჩემისა;  
 ვადი თანამდებობად ჩემდა განსჯავს უდიდესი უჩინავისი-  
 სა ბრძანებისა და ვითარცა უფალად მათისა დგობისა მა-

მართ, ეგეთი განკვირვება უფალად მათისა ხელ-  
 მწ ფისა უმადესსა ნებისა, რათამცა სამართობის  
 ნომან სახელმწიფობის ვერ ვპოვოს ჩემ შორის ბრალი  
 ახუ მიზეზი ჭეშმარიტი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, არქი-  
 ებისკოპოსი პავლე, საქართველოს ექსარხოსი ხელმ-  
 წიფე იმპერატორის ბრძანებით მიწვეულია პეტერ-  
 ბურღში სინოდის საქმეების სჯავში მონაწილეობის  
 მისაღებად, სადაც, როგორც ამბობენ, დარჩება გა-  
 ზატებულიადღის.

\* \*

მთელიანის სიონის სობოროსთან დაწყებული  
 შენობა საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის  
 თაოსნობით, სასულიერო ძველ შესანიშნავ საეკლეს-  
 სიო დასაარხელოლოგიოწიფეთთა შესანახავად, თითქმის  
 დათავებულია. მს შენობა მშენიერად არის მოწყო-  
 ბილი. შენობა ისე კარგად არის მოწყობილი, რომ  
 ცენტლის შიში არც შიგნიდამ და არც გარედამ არა-  
 სოდეს არ უნდა შქონდეს კაცს. მუხუენს გარდა ამ  
 შენობასთან არის გამართულ სიონის პრებულისა-  
 თვის ერთი ზალა წიგნის საკითხავად და მეორე საზო-  
 ვადოებისათვის. აქვე არის აგებული სადგამი სო-  
 ბოროის დეკანოზისა, რომელშიაც ჯერ-ჯერობით  
 იღვრებდა კლიტორი სობოროისა. ამ შენობების  
 საქმეში დიდი შრომა მიუღია სიონის კათედრის დე-  
 კანოზს მამა მსტატე მლიიფეს, რომლის დეაწლი სწო-  
 რედ საქმებია. ჩვენ თვითონ გვიანახავს, რომ ამ აღ-  
 გილას წინეთ იყო ერთი საჩუთულიანი თავლა ცხენე-  
 ბისათვის და დღეს ამ აღგილას ამისთანა მშენიერი  
 შენობები არის გამართული.

\* \*

წარსულ კვირას მიიღო ბლალოჩინმა დეკანოზმა  
 იოსებ სიმონოვმა მონაწირობის წოდება არქიმადრი-  
 ტის ხარისხზე აყვანით და კიდევ დანიშნა  
 საქართველო - იმერეთის სინოდის კანტორის




წვერის თანამდებობის ადგილს ამასთანავე ის არის დანიშნული წვეთ ბარეჯო მონასტრის წინამძღვრად.

\* \*

მაღლიესი მართებლობის აზრით თუმცა დასავლეთის საქართველოის ეპარქიების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ სინოდის კანტორაში წვერად, მაგრამ დღეს თავის წარმომადგენლები არც სიმერეთის და არც ბურია-სამეგრელოს ეპარქიებს არა ჰყავთ კანტორაში.

\* \*

ჩვენ შევტყუეთ, რომ დეკანოზს ძავეასიძეს ბერად შევდგომა განუხრახავს.



უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

# ჯელოერამები.

3 დეკემბერი.

პატივსაცემი. „Правит. Вѣст.“-ის დეკანდელს ნომერში დახეკდილია: „ბოლგაჩის ამბებს რუსეთის საზოგადოებასა და მწერლობაში ცხარე ლაშარავი გამოიწვია: ეს გარემოება გასაკვირველიც არ არის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გაზეთებს ამ ამბების გამო მიზეზი მიეცათ და სჯა დაიწყეს ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს ვითომ რუსეთსა და ევროპის დიდთა სასულიეროთა შორის. ზოგიერთი გაზეთები არც კმნობენ, რომ განსჯენ საყოველთაოდ გამომავალად და უეჭველი გარემოებანი და ქცედილობენ ზემოხსენებულის ურთი ერთობის განსამარტებლად თავისი საკუთარი მოსაზრებანი და საგულები გამოქვეყნებენ; ამ მიზეზით, ამათა მსჯელობა, ასეთს საეკლესია ნიდაგზე დასაბუთებელი, არც თუ მოკლებულია მიუდგომელობას, ურობლისადაც შეუძლებელია რაოდენადე რიგინი შეგნება საზოგადოებრივ საგნებისა, არამედ პირდაპირ კინაღამდეგებს და ებრისპინება ნამდვილს გასაქმებულსა და საქმეთა მდგომარეობას. ასეთის ხასიათისა, სხვათა შორის, უფრო ის წერილები, რომელიც ამ

ბოლოს დროს იბეჭდება გერმანიის ბოლგაჩის რედაქციის რედაქციის მიერ. ამ წერილებით სტდილბოტენ შთაჯგონონ საზოგადოებას, რომ ვითომ ბოლგაჩის საქმის რაგონად გადაწვევტას აბრელებს ის გარემოება, რომ ჩვენდა საწინააღმდეგოდ იდუმალად მოქმედობდეს გერმანია, ამიტომ ამ წერილებში გერმანიას რუსეთის საშინაო მტრად ქსახვენ და ამბობენ, რომ ამ ქვეყანას ბოლოტი განზრახვა აქვს რუსეთის დარსებისა და მშვიდობიანობის წინააღმდეგა.

არ შეიძლება სამწუხაროდ არ ვიქონიოთ ასე უსათუოდოდ მიმართული ლაშარავი. გერმანიასთან, რომელიც თავის მანდობელ მეზობელთან, რუსეთი ბევრგვარის ანსებითის ინტერესებით არის დაკავშირებული, რომელიც მეზობელთაგან განსხვავდება ამ რის სასულიეროთა შორის ადრიდგანვე განმტკიცებულა და არაერთხელ აუტანია შეურყეველად განსაცდელიცა. ამისთანა განწყობილება ერთ ნაიხად საჭიროა რაგონად სასულიეროთა კეთილ-დღეობისათვის და ეს ერთ ნაიხად ვარგად იცის რისსავე მთავრობამ. ამიტომ სასურველია, რომ ამისთანა განწყობილება განგრძობილ იქმნას დიდის ხნობით. მტკიცედ განუზრახავს, რა უწინდელებო ქვეყანის ურადლებით მოექცეს გერმანიის საკუთარს ინტერესებს, საიმპერატორს მთავრობას სრული საფუძველი აქვს დარწმუნებული იყოს, რომ გერმანიაც თავის მხრით კვლავაც არ მოინდომებს იმისთანა მოქმედებას, რომელიც არ ეკადრება რომელიც რუსეთის დიხსებას, ასე მის ინტერესებსაც ისტორიით გამოწვეული ჩვენსა და ჩვენთა აღმოსავლეთის თანამორწმუნეთა შორის. დარწმუნებულა, რომ შედომქმეება მისი მიმართული იქმნება მარტო საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად. ამ მშვიდობიანობასა, რომელიც ეტყე საჭიროა ევროპისათვის და რომელიც ამ გვარადვე შეადგენს რუსეთის სულიერის და მისის ერის ცხოველს სურვილსა. რაც უფრო რთულია და საგრძობელი საზოგადოებრივ გარემოებანი, მით უფრო მეტი სიფრთხილი და გულ-დამჯდარობა საჭიროა მათთა ბწონ დაწონვისათვის და მასადაც მით უფრო ნაკლებ განსამარტებულა წინ დაუხედავი და კადნიერი სჯა, გამოთქმული ურწხლ-გაზეთობის მავრ, რომელიც ხმაც მოკლებული არ არის მნიშვნელობას ხალხთა შორის საქმებში.

1886

# განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

## „მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ“

და „მწყმსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მაზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოგადოებრივ მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

„მ წ ყ ე მ ს ი“ რუსული დამატებით მომავალი წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თვეში და რუსული ორჯერ.

### ფ ა ს ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა .

მთელი წლისა გაგზავნით. . . . .	5 მან.
ნახევარი — — . . . . .	3 —

### „მ წ ყ ე მ ს ი“ რუსული გამოცემით:

მთელი წლის გაგზავნით . . . . .	6 მან.
ნახევარი — — . . . . .	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით . . . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შვირილაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

მაზეთის დაბარება შეიძლება ამ აღრესით: ВЪ Къверилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырѣ). შვირილაში, „მწყმსი“-ს რედაქციაში.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА 1887 ГОДЪ

НА ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(IV годъ изданія).

Выходитъ ежедневно, въ ТИФЛИСѢ, подъ редакціей А. В. Степановъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: за годъ 10 р., за полгода 6 р., за 3 мѣсяца 3 р. 50 к., и за мѣсяць 1 р. 50 к. и за мѣсяць 1 р. 50 к.

Подписка принимается и гг. иногородные адресуются: Тифлисъ, контора редакціи „Новаго Обозрѣнія“, Головинскій проспектъ, домъ № 7. 3—3

შ ი ნ ა ა რ ს ი: თფილისის სასულიერო სემინა. რიასთან ანდრია მოციქულის სახელობაზე დაარსებული მძობის მეექვსე წლის დღესასწაულად. — მეგრულთ სარწმუნოების აღწერა ფრანგულად. — ოქროს გული. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ტელეგრაფები. — განხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. დამბაშიძე. Доз. цензурою Кутаись, 9 декабря, 1886 г.

მწარაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. დამბაშიძისა ჯ. ი. სელაძისა.